ქალაქ დუშეთში, სამუსიკო სკოლის შენობის რეაბილიტაციისათვის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებელი დროებითი საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი N3

ქ. დუშეთი

23 ივლისი 2014 წ.

12:00 სთ.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:

ვაჟა ჩობელი – დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი;

საკონკურსო კომისიის წევრები:

1. **ნიკო დუდაური** – დუშეთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

4. **ქეთო წიკლაური** – განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი;

5. **იზა გოზიტაშვილი** – საინფორმაციო განყოფილების უფროსი;

5. **ემზარ სინჯარაძე** – არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობის რეგულირებისა და ზედამხედველობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი;

6. **რაჟდენ დუდაური** – სივრცითი მოწყობისა და ურბანული განვითარების განყოფილების მთავარი სპეციალისტი;

მოწვეული სპეციალისტი:

1. ლია როინიშვილი – (ა) იპ „კავშირი სამოქალაქო განვითარებისათვის" აღმასრულებელი დირექტორი.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა საპატიო მიზეზით:

მოწვეული სპეციალისტი:

მაია მანია – არქიტექტურის ისტორიკოსი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი.

დღის წესრიგი:

1. ქალაქ დუშეთში, მერაბ კოსტავას ქუჩა N 34 – ში მდებარე ყოფილი სამუსიკო სკოლის შენობის რეაბილიტაციისათვის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების განხილვა – შეფასება. (საკონკურსო განცხადების №1283) .

/მომხ. ქ. წიკლაური/

განიხილეს:

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ინფორმაცია, ქალაქ დუშეთში, მერაბ კოსტავას ქუჩა N 34 – ში მდებარე ყოფილი სამუსიკო სკოლის რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებით გამოცხადებულ კონკურში შემოსული საკონკურსო მასალები და სთხოვა გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვეს:

რაჟდენ დუდაურმა – მან აღნიშნა, რომ გაეცნო კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ მასალებს კონკურსანტის მიერ შემსყიდველის მოთხოვნილი ყველა პირობა ამ ეტაპზე შესრულებულია და მათ მიერ წარმოდგენილია ყველა მასალა, შენობის შესახებ და მოცემულია აწალიზი მისი რეაბილიტაციისათვის.

ლია როინიშვილმა – მან აღნიშნა, რომ საკითხს ძალიან დიდი სერიოზულობით ეკიდება, შეისწავლა როგორც კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი მასალა, ასევე მოიძია ყველა ინფორმაცია კონკურსანტის შესახებ. მას შენიშვნები აქვს კონკურსანტის გამოცდილებასთან,. როგორც მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, შესრულებული აქვთ ძირითადად სამშენებლო სამუშაოები, საპროექტო სამუშაოები წარმოდგენილია მხოლოდ ორ ობიექტზე. საწარმო რეგისტრირებულია 2001 წელს, დღემდე მათ მიერ შესრულებულია მხოლოდ 14 პროექტი, ისიც სავარაუდოდ სუბკონტრაქტორის სახით. ამასთან არ ვიცით შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა და ღირებულება. საწარმოში წარმოდგენილია მასში ხანგრძლივი დროით დასაქმებული პირებით, ეს ყველაფერი ჩემთვის იმის მიმანიშნებელია, რომ წარმოდგენილი შპს ვერ აკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს., ქალაქ დუშეთი, მერაბ კოსტავას ქუჩა N 34 – ში მდებარე ყოფილი სამუსიკო სკოლის შენობის საპროექტო სამუშაოების თემა პირველია, ძალიან მნიშვნელოვანია და ვერ გამოვუცხადებ ნდობას წარმოდგენილ შპს– ს საპროექტო სამუშაოების ჩატარებაზე და შესაბამისად მათზე ვერ ავიღებ პასუხისმგებლობას. კომისიის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საზოგადოება დავაწესებთ მკაცრ მონიტორინგს.

ნიკო დუდაურმა – მან აღნიშნა, რომ შპს „კარკასში" დასაქმებულ სპეციალისტებს ნამდვილად აქვთ გამოცდილება და არიან მაღალკვალიფიციურნი, აქვთ შესაბამისი ცოდნა და მიაჩნია, რომ მათ მიერ შესრულებული საკონკურსო პროექტი იქნება ხარისხიანი.

ვაჟა ჩოხელმა – მან აღნიშნა, რომ რადგან კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი მასალები, ამ ეტაპზე, გვაძლევს შესძლებლობას, რომ ვივარაუდოთ, ყოფილი სამუსიკო სკოლის სარეაბილიტაციო პროექტი შესრულებული იქნება ხარისხიანად და კვალიფიციურად, მიმაჩნია, რომ უნდა მივცეთ შესაძლებობა კონკურსანტს წარმოგვიდგინოს საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო – ტექნიკური დოკუმენტაცია საბოლოო სახით. ჩვენი მხრიდან განხორციელებული იქნება მკაცრი კონტროლი და მონიტორინგი.

დაადგინეს:

1. – ქულათა შეფასების სისტემის მეშვეობით, გამარჯვებულად გამოცხადდეს: შპს „კარკასის" საკონკურსო წინადადება.
2. – გაფორმდეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, შპს „კარკასთან".

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: /ვ. ჩოხელი/

საკონკურსო კომისიის წევრები:

/ ქეთო წიკლაური/

/რაჟდენ დუდაური/

/ ნიკო დუდაური/

/ ბზა გოზიტაშვილი/

/ემზარ სინჯარაძე/

მოწვეული სპეციალისტები:

/ლია როინიშვილი/